საქართველოს მთავრობის განკარგულება

№632 2016 წლის 15 აპრილი ქ. თბილისი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ
განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის გაზსადენის კომპანიის“ (Baku-Tbilisi-Ceihan Pipeline Company) შესაბამისი ობიექტის ელექტროგადამცემ ქსელთან მიერთების მიზნით, გარდაბნის მუნიციპალიტეტში 110/10 კვ ქვესადგურისა და 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მიერთების ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, მშენებლობისათვის საჭირო საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი